*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**— მარტი 2026 წელი**

**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდაწყლის I ჩიხის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, გაგრძელდეს წმინდაწყლის I ჩიხი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ზურაბ აბაშიძე**


1:1,250
X=474173 Y=4620547
წმინდაწყლის I ჩიხი
X=474131 Y=4620422

06-03260501/44-03

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

**19 / თებერვალი / 2026 წ.**

KA011704767273526

**№ 35589**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") წარედგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მაისის № 03-032514745 მომართვა (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი 132110/17), რომლითაც სააგენტოს წარედგინა *„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდაწყლის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის წმინდაწყლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის № 232 განკარგულება თანდართული სიტუაციური რუკით.

ამასთან, სააგენტოს მიერ წარმოებულ სამისამართო რეესტრის მონაცემთა ბაზაში აღრიცხული გეოგრაფიული ობიექტი - „ქალაქი თბილისი, სოფელი აგარაკი, წმინდაწყლის ქუჩა“ რეგისტრირებულია *„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდაწყლის სახელის მინიჭების შესახებ“* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №300 განკარგულების და თანდართული რუკის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე სახელდებული და სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული გეოგრაფიული ობიექტების გავრცელების არეალის (დასაწყისი და დასასრული წერტილი) ანალიზით დგინდება, რომ აგარაკის დასახლებაში მდებარე წმინდაწყლის ქუჩა და მასთან არსებული I ჩიხი გეოგრაფიულად ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული, რაც ქმნის ბუნდოვანებას და ართულებს მითითებული გეოგრაფიული ობიექტების მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისათვის ლოგიკური/თანმიმდევრული ინდივიდუალური მისამართების განსაზღვრას.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დანართი სიტუაციური რუკა და სამისამართო რეესტრში მონაცემების ერთიანი პრინციპით აღრიცხვისა და სწორი მონაცემების რეგისტრირების მიზნით, დაგვიდასტუროთ აგარაკის დასახლებაში არსებული წმინდაწყლის ქუჩა და მასთან არსებული I ჩიხის გავრცელების არეალის სიზუსტე.

დამატებით გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ წარმოებულ სამისამართო რეესტრის მონაცემთა ბაზაში და ელექტრონულ რუკაზე https://maps.gov.ge საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის № 232 განკარგულებით მითითებული გეოგრაფიული ობიექტების შესაბამისი რეგისტრაცია განხორციელდა 2026 წლის 17 თებერვლის №M26001943/3 გადაწყვეტილებით.

დანართი: 1 (ერთი) .*pdf ფაილი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — ნინო ბახია

# სიტუაციური რუკა
## აგარაკის დასახლება წმინდაწყლის ქუჩა და I ჩიხი



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 300

"11" სექტემბერი 2018 წ

ქ. თბილისი

## ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდაწყლის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს წმინდაწყლის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


1:3,300
X=474388 Y=4620677
X=474177 Y=4620545
წმინდაწყლის ქ.
X=474457 Y=4620317

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 232

„20" მაისი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდაწყლის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის წმინდაწყლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, გაგრძელდეს წმინდაწყლის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს წმინდაწყლის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


1:2,500
72.16.26.345
72.16.09.176
72.16.27.041
72.16.09.177
72.16.27.152
72.16.26.305
72.16.27.198
X=474131 Y=4620422
X=474457 Y=4620317
X=474343 Y=4620252
X=474533 Y=4620242
წმინდაწყლის I ჩიხი
წმინდაწყლის ქ.

წერილის ნომერი: **03-032606319**
თარიღი: **04/03/2026**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2026 წლის 19 თებერვლის საქმე #06-0326050144-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია აგარაკის დასახლებაში არსებული წმინდაწყლის ქუჩის და მასთან არსებული I ჩიხის გავრცელების არეალის დაზუსტება.
გთხოვთ, შეისწავლოთ წარმოდგენილი განცხადება და ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში მდებარე წმინდაწყლის I ჩიხის მონაკვეთის ძირითად ქუჩასთან გეგმარებითი კავშირის აღდგენის უზრუნველსაყოფად, გამოგვიგზავნოთ წითლად მონიშნული ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

მეტი თვალსაჩინოებისთვის გიგზავნით შესაბამის სახელდების აქტებს თანდართულ რუკებთან ერთად.

დანართი 8 (რვა) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260642462**
თარიღი: **05/03/2026**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 04.03.2026 წლის # 03-032606319 (04.03.2026წ. #14-01260632562-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი